

# Սահման Առաքելու

Հայոց  
ծեծոն Մշումուն

Մշումուն  
Կորպուսուն  
մոթիկալուն

F 9.946

4

დაიბეჭდა

უწმინდესისა და უნეტარესის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის  
ილია //

ლოცვა-კურთხევით

K 30.868  
4

# საუფლო ამბები

ნიგნი |



შვიდი ხორციელი მოწყალება:

1. მშიერთა ჭმევა;
2. მწყურვალთა სმევა;
3. შიშველთა შემოსვა;
4. უცხოთა შევრდომება;
5. სნეულთა მოკითხვა;
6. მიხედვა პატიმართა;
7. მიცვალებულთა დამარხვა.



წიგნი დაიბეჭდა ლომისის წმ. გიორგის  
მონასტრის და ქველმოქმედი ადამიანების  
ხელშეწყობით.

წყალობა და წარმატება მოანიჭე მათ უფალო  
ყოველთა კეთილთა საქმეთა შინა.

ღმერთმა დალოცოს მონა ღვთისა:  
მალხაზ აბუთიძე, ირაკლი გვარაშაძე,  
პაარგა ბარნევი, ირაკლი ლექავა,  
გოგა გოზალიშვილი იმედა უგრეხელიძე

ავტორი: ლია ბედოშვილი  
მხატვარი: ლიზი ჩქარეული  
დამკაბადონებელი: ნინო ყაჟელაშვილი

## საუფლო ამბები



ბილისში ერთი კეთილი და ბრძენი მოხუცი  
ცხოვრობს, რომელიც დროდადრო ქუჩებში და-  
დის და გამვლელებს საკვირველ ამბებს უყვება.  
ერთხელაც ქალაქში გასულს მაინცა და მაინც  
მე შემეყარა და შვიდი საუფლო ამბავი მიამბო.

თმათეთრმა და ღიმილიანმა ბრძენმა ასე  
დამაბარა: ეს ნამდვილი ამბებია, თანაც სას-  
წაულმოქმედი და თუ, ბავშვებო, თქვენს პანია  
გულებში მათთვის თბილი ადგილი მოინახე-  
ბა, ცხოვრების გზაზე ყველა ნათელი სურვილი  
აგისრულდებათო.

მაშ ასე, მოკალათდით და საუფლო ამბებ-  
თან შესახვედრად მოემზადეთ...



## დააპურე მშიერი!



აც იყო – არის და რაც არის – ყოველთვის იქნება. ღვთის უკეთესი კი ქვეყნად არც არაფერი ყოფილა, არც არაფერი არის და არც არაფერი იქნება.

თბილისქალაქის ერთ ეზოში ცხოვრობდა პატარა გოგო – ანანო და ბიჭი – მახარე. ანანო თითით საჩვენებელი ბავშვი იყო: უფროსებს უჯერებდა, სწავლას გულს უდებდა, დედას ოჯახის საქმეში ეხმარებოდა და მამის ქებასთან ერთად, ნაირნაირ საჩუქრებსაც იმსახურებდა. ონავარი მახარე კი, არც გაკვეთილებს სწავლობდა და უფროსების დარიგებასაც არად აგდებდა. ჩავიდოდა ეზოში და იქაურობას ხმაურითა და ანცობით იკლებდა. თუმცა, ყველა ბავშვის მსგავსად, მახარეც მეოცნებე იყო. ოცნებობდა გამხდარიყო სახელგანთქმული ადამიანი, ჩაედინა გმირობა, რომელზედაც ლექსებს დაწერდნენ და ფილმებს გადაიღებდნენ. ყველაზე დიდი ოცნება კი ის იყო, სახლიდან ნასული მამა დაბრუნებულიყო, დედ-მამას ძველებურად

ყვარებოდათ ერთმანეთი და მათ ოჯახში, სხვა ოჯახების მსგავსად, სიმშვიდესა და კეთილდღეობას ეხარა. მამა ენატრებოდა, რომელიც საქართველოდან შორს გახიზნულიყო და ამბავიც კი არ ისმოდა მისგან.

ანანო და მახარე მეგობრობდნენ, რაც, ცოტა არ იყოს და ყველას უკვირდა.

სახლის გვერდით პატარა, მყუდრო ეკლესია იდგა. ანანო დედ-მამასთან ერთად დადიოდა წირვაზე. მახარეს კი ხშირად სანთლის ფულიც არა ჰქონდა. შეუმჩნევლად შეიძარებოდა საყდარში, ქრისტეს ხატთან სანუკვარ სურვილს წაიბუტებუტებდა და ჩქარი ნაბიჯით ტოვებდა ღვთის სახლს.

საღამოობით კი მეგობრები ტაძრის კიბეზე ჩამოსხდებოდნენ და დიდხანს, დიდხანს საუბრობდნენ.

ასე გადიოდა დრო...

ერთხელაც დედამ მეზობლებისაგან პურის ფული ისესხა და მახარეს უთხრა: წადი, შვილო, პური მოიტანეო. მახარემ ანანოც წაიყოლა. თითო-თითო პური იყიდეს და სახლისკენ გასწიეს.

გზად ხეიბარი შეეყარათ. ცალი ფეხი არა

პქონდა და სახეც ადრეულ ნაოჭებს დაეღარა. ხეიბარმა ბავშვები შეაჩერა და ჩუმი, მხვენარი ხმით სთხოვა: ორი დღეა მშიერი ვარ, ერთ პურს ხომ ვერ მომცემთო? ანანომ პური უნებლიერ ზურგს უკან დამალა და შეშინებული გაერიდა მანანნალას. შეცბა მახარე, დედის ცრემლიანი სახე დაუდგა წინ, მაგრამ გაძვალტყავებულ, ჩა-მოძონძილსა და ყავარჯინებზე დაყრდნობილ ხე-იბარს რომ შეხედა, საჩქაროდ გაუწოდა პური და თავჩახრილმა გზა გააგრძელა.

— ღმერთი გიშველის, კეთილო ბიჭო! — მო-ესმა ხეიბრის ხმა, მაგრამ უკან არც კი მიუხე-დავს, იმაზე ფიქრობდა, რა ეთქვა დედისათვის.

ერთხანს ეზოს გარშემო უარა, მერე კი ზლაზნითა და ფეხათრევით აიარა კიბე, კა-რი შეალო და ზლურბლთან გაშეშდა... სიზმარში ეგონა თავი...

დედ-მამის გაბრწყინებული სახეები დაინა-ხა. მამამ შვილო, მახარეო! — დაიძახა და ლო-ნიერი მკლავებით მონატრებულ გულში ჩაიკრა ბიჭი. სახლში გემრიელი სადილისა და ოჯახური ბედნიერების მყუდრო, მშობლიური სურნელი ტრიალებდა.

— მამა... მამიკო... იცი... ეს იმ ხეიბარმა...  
იმ ხეიბარმა — ლუღლუღებდა მახარე და მამის  
თბილ მკერდს ეკვროდა.

ლამით კი აი, რა დაესიზმრა ანანოსა და  
მახარეს: ანანოსთან რაღაც საკვირველ, ბრნყინ-  
ვალე შუქში გახვეული იესო ქრისტე მივიდა და  
მოწყენილი სახით ჰკითხა:

— ანანო, ანანო, მე რომ მშიოდა, რატომ არ  
მაჭამე?

— არა, უფალო, მე შენ თვალითაც არ მინა-  
ხიხარ — მიუგო გაოცებულმა ანანომ.

— ეჰ, ჩემო პატარავ, გზად რომ ხეიბარი შე-  
გეყარა და პური გთხოვა, ის ხომ მე ვიყავიო! —  
ეს თქვა უფალმა და გაუჩინარდა...

მახარემაც იგივე სიზმარი ნახა, მაგრამ  
მომღიმარე უფალმა თავზე ხელი გადაუსვა ბიჭს  
და უთხრა:

— მადლობელი ვარ, მახარე, რომ მშიოდა  
და მაჭამე, ის ხეიბარი, შენ რომ პური მიეცი, მე  
ვიყავიო...

დილით ეზოში ჩასულმა ბავშვებმა სიზმა-  
რი უამბეს ერთმანეთს. ცრემლი წასკდა ანანოს,  
ინანა და თქვა:

— ახლა კი მივხვდი, რომ მშიერთა ჭმევა  
საუფლო მადლია. ამიერიდან მშივრებს მუდამ  
დავაპურებო.

ის დღე იყო და ის დღე, ანანო ხელგაშლი-  
ლი და პურადი გახდა. გაიღვიძებდა თუ არა,  
აივანზე ნამცეცებს უყრიდა ჩიტებსა და მტრე-  
დებს, ისინიც მხიარულად დახტოდნენ მის ირ-  
გვლივ და პანია ხელისგულიდან უშიშრად კენ-  
კავდნენ საკენკს, თან უღურტულებდნენ:

რა კარგი ხარ, ანანო,  
კეთილი და გულუხვი,  
ლმერთი მოგცემს სანაცვლოს,  
მზეა ოქროცურვილი,  
უფლისთვის გასახარი,  
აგისრულდეს სურვილი...





## ასვი მწყურვალს!

**კ**აისის ერთ მცხუნვარე დღეს ანანო და მა-  
ხარე სკოლიდან ქალაქებარეთ, ლაშქრობაში ნა-  
იყვანეს. მთის თავზე ძველზე ძველი საყდარი  
იდგა. ბავშვები და მასწავლებლები სწორედ მის-  
კენ მიემურებოდნენ.

აღმართი გრძელი იყო და ციცაბო. მზის  
ხვატმა ყველა დასიცხა. წყურვილისგან ხახა  
უშრებოდათ. გზად შეყრილმა ჭარმაგმა კაცმა  
ქვემოთ, მოშრიალე ტყისკენ გაიშვირა ხელი და  
თქვა: წყარო მხოლოდ იქა დის და წყურვილსაც  
ის მოგიკლავთო.

მასწავლებელმა ორი მათარა მისცა ანანოსა  
და მახარეს, თან დაარიგა:

— ფრთხილად იყავით, მათარებს თავი კარ-  
გად დაახურეთ, წყალი არ დაიქცეს, ხომ იცით,  
თქვენს იმედადა ვართ? — და იქვე ჩეროში დაა-  
ბანაკა ბავშვები.

ანანო და მახარე სირბილით დაეშვნენ თავ-  
ქვე. წყაროს პოვნა არ გასჭირვებიათ. ყინული-  
ვით ცივი წყალი დალიეს, მათარებიც აავსეს და  
გამობრუნდნენ. აღმა სვლა საკმარისად ძნელი

და დამღლელი აღმოჩნდა. ლოდებსა და ძეძვი ანში ძლივს იკვლევდნენ გზას და აი, ბანაკამდე სულ ცოტალა იყო დარჩენილი, რომ გზად მოხუცი გამოჩნდა, რომელსაც ზურგით ფიჩხი მიჰქონდა.

— კაი სალამი და გამარჯვება, ბავშვებო, წყურვილით ვკვდები, წყალს ხომ არ დამალევინებთო?! — თქვა და აქოშინებული იქვე, ლოდზე ჩამოჯდა. მახარეს მასწავლებლის დანაბარები გაახსენდა და უთხრა: ზემოთ მთელი ბანაკი წყალს ელოდება, წყარო ქვემოთაა, ჩადი და დალიეო.

ანანომ გაკვირვებით შეხედა მახარეს, მათარას თავი მოხსნა და მოხუცს გაუწოდა. მწყურვალმა მათარა მოიყუდა და სულმოუთქმელად დაცალა.

— ღმერთი გაგახარებთ, ბაბუ! — მადლიერებით თქვა და ცარიელი ჭურჭელი ანანოს დაუბრუნა. მეგობრებმა აღმართი აიარეს და დაბანაკებულებთან მივიდნენ.

— ერთი მათარა წყალი ვის რაში ეყოფაო?!  
— ბუზღუნებდა მახარე, მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ! მოხსნა თავი მათარას და ცარიელი აღმოჩნდა. ანანომ კი გაოცებით წამოიძახა:

— ჩემი მათარა სავსეა, ვერ დავიჯერებ,

მე ხომ წყალი მოხუცს დავალევინე?! – მახარე ზარდაცემული დასჩერებოდა მშრალ მათარას, ანანოს ჯადოსნური საწყაულიდან კი წყალი არა და არ ილეოდა...

ძალამოცემულმა ბავშვებმა ციცაბო ბილი-კი ურიამულით აირბინეს და საყდარში შევიდ-ნენ. მახარემ ქრისტეს ხატს მიაშურა ჩვეულები-სამებრ. მის ნინ მუხლებზე დაეცა და ცრემლით მოინანია სულმოკლეობა. მერე ფეხზე ნამოდგა, ხატს ეამბორა და რეტდასხმული გაირინდა... წელთან სისველე იგრძნო... ხელი შეავლო მათა-რას... სავსე იყო!

მეორე დღეს უბანში, ეკლესიის კიბეზე ჩა-მომსხდარი მეგობრები გაოცებით საუბრობდნენ სასწაულზე, ლაშქრობაში რომ გადახდათ თავს.

ანანომ მახარეს სიხარბე ანანა, მახარეს კი ღვთისგან ეხარა საიდუმლო, რომ მწყურვალთა სმევა საუფლო მადლია!

ანანო და მახარე  
ღმერთმა იმ გზით ატარა,  
რომელზედაც ეხარათ,  
რომ სავსეა მათარა,  
მათი, ვინაც მწყურვალებს  
ასმევს წყაროს ანკარას...



## შემოსე შიშველი!



ყო და არა იყო რა... კიდევ ერთი ღვთის-გან მოცემული დღე იყო და სკოლიდან დაბრუ-ნებულმა მახარემ თანაკლასელის მონახულება გადაწყვიტა. ერთი კვირა იყო გიო სკოლაში არ დადიოდა, არც ეზოში ჩანდა. ავად ხომ არ არი-სო – ფიქრობდა მახარე.

კარი ნატო ბებომ გააღო. მეტი არც არავინ ჰყავდა. გიოს დედ-მამა ადრე გარდაეცვალა და ბებია ზრდიდა.

– ნატო ბებო, გიო სკოლაში არ დადის და ავად ხომ არ გახდა? – ჰერიტა მახარემ.

ბებომ თვალები დახარა და ჩურჩულით უთხრა:

– შვილო მახარე, არ მინდა გიომ გაიგო-ნოს, მაგრამ შინაური ხარ და უნდა გაეგენდო. ბიჭს ფეხსაცმელი სულ დაეხა, მე სახსარი არა მაქვს, რომ ახალი ვუყიდო, ჰო და სირცხვილით გარეთ ვეღარ გამოდის. სახლშიც ვერ შეგიპა-ტიუებ, თავის ოთახშია ჩაკეტილი და აღარ ვიცი რა ვუშველო.

გულმოკლული გამობრუნდა მახარე. სწრა-  
ფად აირბინა კიბე, მამის ნაყიდი ახალი ფეხსაც-  
მელი კარადიდან გამოიღო, კოლოფში ჩადო და  
გიოსკენ გასწია. თან ფიქრობდა, რა ეთქვა ისე-  
თი, რომ მეგობრის თავმოყვარეობა არ შეელახა.

კარი ისევ ნატო ბებომ გააღო. მახარემ  
უხერხულად მიაწოდა ყუთი და უცებ დიდი, მარ-  
თლაც რომ წარმოუდგენელი ტყუილი თქვა:

— იცით, დედამ და მამამ შემთხვევით ორი  
წყვილი ერთნაირი ფეხსაცმელი მიყიდა და ერთი  
წყვილი დედამ გიოსთან გამომატანა. ჩვენ ხომ  
ერთი ზომის ფეხი გვაქვს და ორ წყვილს ერთად  
ხომ არ დავხევ? — ნატო ბებოს სახე გაუნათდა,  
გახარებული გადაეხვია მახარეს.

— მადლობა უთხარი დედას. ახლა ეს ფეხ-  
საცმელი ღვთის წყალობასავითაა ჩვენთვის.

სახლში დაბრუნებული მახარე კაი ხანს  
ფიქრობდა, რა ეთქვა მშობლებისთვის. კარი გა-  
იღო... დედის მსუბუქი ნაბიჯების ხმა მოესმა და  
გაისუსა.

— შვილო, მახარე, ნახე რა საჩუქარი მიი-  
ღე?! მამიდამ ბათუმიდან სწორედ ისეთი ფეხ-  
საცმელი გამოგიგზავნა, მამამ რომ ამასწინათ  
გიყიდა...

ურუოლადაკრული მახარე ოთახიდან გა-  
მოვიდა. მაგიდაზე ისეთივე ფეხსაცმელი ენყო,  
გიოს რომ რომ მიუტანა. რაღა თქმა უნდა, იმ  
ნამსვე გამოუტყდა დედას, რატომ და ვის მისცა  
მამის საჩუქარი.

დედამ გულში ჩაიკრა მახარე და უთხრა:

— ყოჩაღ, ჩემო კეთილო ბიჭო, შიშველთა  
შემოსვა საუფლო მადლიაო.

დამით კი, ძილის წინ, ფიქრებში წასულ მა-  
ხარეს წვიმის ხმაურში იდუმალი ჩურჩული მო-  
ესმა:

ალალსა და გულით სვეს  
ღმერთი მართლაც გიშველის,  
შიშველს თუკი ჩააცმევ,  
არ დარჩები შიშველი!





## შეიფარე უცხო!



რის, იყო და იქნება სიკეთის მადლი ამ ქვეყნად. ერთხელ, აღდგომა დღეს მეზობლებს ეზოში საზეიმო პურობა ჰქონდათ. ანანო და მა-სარეც იქვე ტრიალებდნენ, ღვთისა და საქარ-თველოს სადიდებელ სადღეგრძელოებს ისმენ-დნენ საერთო მხიარულებას ანცად აყოლილნი, ხან ხეებზე კონწიალობდნენ, ხან კი უფროსების თხოვნით მღეროდნენ და ლექსებს კითხულობ-დნენ.

K30. 88-5

ვერც ვერავინ შეამჩნია როდის შემოეხეტა ეზოში დაძონძილი, გაძვალტყავებული მანანნა-ლა. ჭუჭყიანი ქერა თმა შუბლზე ჩამოჰყროდა, ნატანჯი სახე სასმელისაგან შესიებოდა, თვა-ლებში კი რაღაც უჩვეულო შუქი ჩადგომოდა. „ღვთის გლახა“ – გაიფიქრა ანანომ. აქაური არ უნდა იყოსო – უჩურჩულა მახარემ.

მანანნალა სუფრასთან მივიდა და ენის ბორძიკით სასმელი და საჭმელი ითხოვა. თამა-დამ დაუცაცხანა: აიღე რაც გინდა და აქედან

დაიკარგეო. მანანნალამ თვალი თვალში გაუყარა  
თამადას, გამოწვდილ თეთვს ზედაც არ დახედა,  
თავი გადააქნია და ბუტბუტით „საკარტველო“...  
„საკარტველო“... სუფრას გაერიდა. ანანო და მა-  
ხარე უცხო ხიზანს დაედევნა.

ღონემიხდილი და აკანკალებული მანანნა-  
ლა ეზოს შესასვლელში კიბეზე ჩამოჯდა.

— ვინა ხარ? — ჰერითხა ანანომ.

— არც ვიცი ვინა ვარ — უპასუხა უცნობ-  
ბა, — ომი მახსოვს, ბიჭების დალუპვა მახსოვს,  
შემდეგ კი რა მოხდა, აღარ ვიცი. ყველაფერი  
დამავიწყდა. ექიმები ამბობენ კანტუზიის გამო  
მეხსიერება გაქვს დაკარგულიო. მუშაობა არ  
შემიძლია. სადა მყავს ახლობლები, სადა მაქვს  
სახლ-კარი არ ვიცი და დავწანნალებ ასე უპატ-  
რონო და მიუსაფარი.

ანანომ ხელი ხელზე შეავლო და ალალად  
სთხოვა:

— წამოდით ჩემთან, პურსაც გაჭმევთ და  
ადამიანურადაც დაგასვენებთ. — გაოცებით შე-  
ხედა მანანნალამ.

— ასეთ ჭუჭუიანსა და მოუვლელს სახლში  
როგორ მეპატიუები, შვილო?!

— საქართველოში ასე ამბობენ, „სტუმარი ღვთისააო“, ნუ გეშინიათ, დედიკო და მამიკო კეთილი ადამიანები არიან, თავს უხერხულად არ იგრძნობთ!

თვალები მოუწყლიანდა მანანნალას, ადგა და ლასლასით გაჟყვა ბავშვებს. წამით ეზოში ქეიფი შეწყდა, სუფრა გაირინდა. ბავშვებმა და მათხოვარმა მაგიდას ჩაუარეს და კიბეს აუყვნენ.

ანანომ ზღურბლთან დაიძახა:

— მამა, მამიკო! სტუმარი მოგიყვანე! — იცოდა მამა შეუძლოდ იყო და გამოგებებას ვერ შეძლებდა. მანანნალა დარცხვენით და რიდით შევიდა ბინაში.

— მამა, ეს ბიძია ჩვენს ეზოში მოვიდა... იცი, თურმე საქართველოსთვის იბრძოდა... აღარაფერი ახსოვს... და მე... შენთან... არა ჩვენთან... ამოვიყვანე — სხაპასხუპით თქვა ანანომ და მამის პასუხს დაზაფრული დაელოდა.

ხმას არ იღებდა მამა. მდუმარი, თვალდათვალ მისშტერებოდა სტუმარს. უცნობი დაიბნა, მაპატიეთ მე წავალო თქვა და ის იყო კარისკენ დაიძრა, რომ ანანოს მამამ გამოკვეთითა და ელდადაცემულის სიმძაფრით დაიძახა:

— ანდრეი, ჩემო მეგობარო, ნუთუ არ გახსოვარ, აი, იქ, შენთან, უკრაინაში ყაჩაღებისგან ნაცემი და გაძარცვული რომ შემიფარე, დამაპურე და სამშობლოში გამომისტუმრე?! მე ხომ ნიკო ვარ, ჩემო ძმაო.

მანანნალა მოწყვეტით დაეშვა სკამზე.

— ესე იგი შენ იცი, ვინცა ვარ... მე ვიპოვნი ჩემს სახლს, ჩემს ოჯახს... ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი... — ჩურჩულებდა ცრემლიანი სტუმარი.

რამოდენიმე დღის შემდეგ უკრაინიდან ანდრეის ძმები ჩამოვიდნენ. თურმე ყველას დაღუპული ეგონა იგი. ქართველი მეომრები კი თავგადაკლულები ეძებდნენ ვახტანგ გორგასლის | ხარისხის ორდენზე ნარდგენილ გმირს.

უკრაინაში გამგზავრების დღეც დადგა. მთელი უბანი აცილებდა საქართველოსთვის თავგადაკლულ ვაჟკაცს.

— ეს რა სასწაული მოხდაო — ხელებს ასავსავებდა ეზოს მოუშლელი თამადა. ეკლესიის მოძღვარმა კი მეორე დღეს ქადაგებაზე თქვა:

— გახსოვდეთ, დედამიწის ზურგზე უცხო

ადამიანი არ არსებობს. ყველანი ერთი ღმერ-  
თის შვილები ვართ. გიყვარდეთ ერთმანეთი და  
იცოდეთ, უცხოთა შევრდომება საუფლო მად-  
ლიაო.

ერთი ღმერთის შვილები  
თუკი გავუცხოვდებით,  
ცაც დაგვძრახავს, მიწაც და  
არც არასდროს ვცხონდებით!





## მოიკითხე სნეული!



ვალებადია წუთისოფელი: ლხინს მწუ-  
სარება ცვლის, მწუხარებას კი ლხი-  
ნი. დრო ისეთი სისწრაფით გარ-  
ბის, გეგონება უკან მისდევსო ვინმე. ჩვე-  
ნი ამბების მოყოლაშიც ზაფხული შემოდ-  
გომამ შეცვალა, შემოდგომა კი ზამთარმა.

დიდთოვლობა იყო. ანანო და მახარე ეზო-  
ში გუნდაობდნენ. პირველ სართულზე პატარა,  
ბნელ ოთახში მოხუცი ქალი ცხოვრობდა. ახალ-  
ბინადარი იყო და სამეზობლომ მისი წესიერად  
გაცნობაც კი ვერ მოასწრო... სახლიდან იშვია-  
თად გამოდიოდა, სალამზეც ჩუმი ბუტბუტით  
პასუხობდა. უსალმო და პირქუში ქალიაო – ამ-  
ბობდნენ მეზობლები.

ანანოს ნასროლი გუნდა სწორედ ამ უცნა-  
ური ქალის ფანჯარას მოხვდა, მინა გაიბზარა. შეშინებული ბავშვები მოლოდინში გაიტრუნენ,  
მაგრამ სარკმელში არავინ ჩანდა. მახარემ აიჩე-

მა: ბოდიში მაინც მოვიხადოთო – ბავშვებმა გა-  
უბედავად დააკაკუნეს კარზე.

– ვინა ხარ? შემოდი! – მოესმათ სუსტი  
ხმა. კარი შეაღეს და გაყინულ ოთახში შევიდნენ.  
მოხუცი საწოლში იწვა, უძლურსა და გაფითრე-  
ბულს თვალებში სასონარკვეთა ჩადგომოდა.

– ბავშვებო, თქვენ ხართ? მოდით, ჩამო-  
მიჯექით, მგონი ვკვდები და ხმის გამცემი მე-  
ნატრება – ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა და თავი  
წამოწია.

ბავშვები უხერხულად ჩამოსხდნენ საწოლ-  
თან.

– ბებო, რამე ხომ არ გჭირდებათ? თუ გნე-  
ბავთ აფთიაქში გავიქცევით, ნამლებს მოგი-  
ტანთ... აქ ძალიან ცივა და ალბათ... – დაბნეუ-  
ლად ატიტინდა ანანო.

– არა, ჩემო კარგებო, მე იმხელა დარდი  
მაქვს, ვერც შიმშილი და ვერც სიცივე მასზე  
დიდი ვეღარ იქნება – დაიკვნესა მოხუცმა.

– რაშია საქმე, ბებო, გვითხარით და ეგება  
გიშველოთ!

– ვაუკაცური სიმტკიცე გაერია ხმაში მა-  
სარეს.

– ერთადერთი შვილი მყავდა და ისიც მო-  
მიკვდა, შვილიშვილი დამრჩა მისგან. ის არის  
ჩემი იმედი და სიხარული, მაგრამ ვაი, რომ უბე-  
დურ კაცს ქვა აღმართში წამოეწევა. დიდი სირ-  
ცხვილი მოდგა ჩემს კარზე, შარშან ქურდობაზე  
დააპატიმრეს. მე ვარ, ბებო, დამნაშავე. ავად  
ვიყავი, სახლში პურიც კი არ იყო. შევეცოდე  
და მეზობლის სარდაფი გაუტეხნია, რაღაც კონ-  
სერვები და მურაბები მოიტანა, მეორე დღეს კი  
დააპატიმრეს. ბევრი ვიწვალე, სად არ ვიარე,  
ვის კარზე არ მივედი... ვევედრებოდი, 15 წლის  
ბიჭია, შეცდა, ეგება აპატიოთ-მეთქი. შენც არ  
მომიკვდე... ბინა გავყიდე თემუკას გამოსახსნე-  
ლად, კარი-კარ ვიარე, მაგრამ ჩემი სატკივარი  
არავინ მიიტანა გულამდის. ახლა სიკვდილი რომ  
სიკვდილია, იმის უფლებაც არა მაქვს, უპატრო-  
ნოდ მრჩება ბიჭი.

– ნუ გეშინიათ, ბებო, ექიმი ეზოში გვყავს,

ყველაფერს მოევლება – თქვა ანანომ და მახარეს  
ანიშნა, ექიმი მოეყვანა.

– ეჱ, ბავშვებო, რომ იცოდეთ, რა ბედნი-  
ერები ვართ, საქართველოში რომ ვცხოვრობთ.  
სხვისი ჭირის გათავისება არსად ისე არ იციან,  
როგორც ჩვენთან, ჩვენს სამშობლოში. ღვთის-  
მშობლის გულის სითბო სდევს ღვთისმშობლის  
წილი ქვეყნის შვილებს – დედა მარიამის გულის  
სითბო...

ჰოდა, თავადაც მიხვდებით, შემდეგ რაც  
მოხდა. მთელი ეზო, რომ იტყვიან, თავზე დაე-  
ხურა სოფიო ბებოს. მკურნალობაც დაუნიშნეს,  
ნამლებიც უყიდეს, ღუმელიც დაუდგეს, სასმელ-  
საჭმელიც დაახვავეს და სულ მალე ფეხზე ნამო-  
აყენეს მოხუცი.

თვალწინ გამოიცვალა, გახალისდა სოფო  
ბებო. თურმე რა კეთილი და ღიმილიანი ყოფილა.  
როგორ ცვლის ადამიანს მზრუნველობა, სითბო  
და სიყვარული.

მთელი ეზო ლოცავდა ანანოსა და მახარეს:  
კეთილი და კარგი ბავშვები ხართ, თქვენ გაიხა-  
რეთ და გაიზარდეთო.

მოძღვარმა კი წირვის შემდეგ მეგობრებს  
სეფისკვერები მისცა და უთხრა:

— უფალიც უვლიდა და კურნავდა სნეუ-  
ლებს. ყოველი ჭეშმარიტი ადამიანი კი უფლის  
გზას იმეორებს, გახსოვდეთ, სნეულთა მიხედვა  
საუფლო მადლიაო...

თუ გინდა, რომ სიცოცხლეში  
ჯანი ჰქონდეს სხეულს,  
უნამლე და უპატრონე  
მოხუცსა და სნეულს.





## მიხედე პატიმარს!

კიცი, ვიცი, ჩემო პატარებო, რომ საწუხა-  
რად დაგირჩათ თემუკას ბედ-იღბალი. რო-  
გორ გვინიათ, განა საწყალ ბიჭს სამუდამოდ  
დაეკარგა გზა-კვალი?

უნდა გაგახაროთ... უფლისმიერმა სიკეთემ  
მასაც უშველა!

ეზოში ვექილი ცხოვრობდა. თემუკას ამ-  
ბავი რომ გაიგო, ვაი, ასეთ სამართალსო – წაი-  
ჩურჩულა და დააყოლა: არა, ამას ასე ვერ დავ-  
ტოვებო.

ის იყო და ვექილი ყოველ დილით საქმიანი,  
სწრაფი ნაბიჯებით სადღაც მიიჩქაროდა. მერე  
რაღაც ფურცელზე მთელ ეზოს, შემდეგ კი უბ-  
ნის მცხოვრებთაც მოაწერინა ხელი.

ანანოს მამამ კი მეზობლების შეგროვილი  
სანოვაგით თემუკას ციხეში მიაკითხა. სევდიანი  
დაბრუნდა სახლში. მეზობლებს პატიმრის მად-

ლობა გადასცა და სინანულით თქვა: როგორ  
ლამაზი და ზრდილი ბიჭია, მაგისი ციხეში ყოფ-  
ნა როგორ იქნებაო?!

ეკლესიის მოძღვარიც გულმხურვალედ  
ლოცულობდა თემუკასთვის და სოფიო. ბებოს  
ამშვიდებდა: ღმერთი მაღალია, აუცილებლად  
გიშველითო.

ერთ მშვენიერ დღეს კი ეზო შეჩოჩქოლდა.  
ვექილმა თემუკას გათავისუფლების ამბავი მოი-  
ტანა. უნდა გენახათ, როგორ გადარბოდნენ ანა-  
ნო და მახარე ერთი მეზობლიდან მეორესთან,  
რომ ეს საკვირველი ამბავი ეხარებინათ.

კარგი დარი იდგა. გაღვიძებული მიწისა და  
მზის მოალერსე სხივების სურნელი დიოდა. ცი-  
ნის კართან მეზობლებთან ერთად ანანო და მა-  
ხარეც გულაჩქროლებულები ელოდნენ თემუკას.  
რკინის მძიმე კარი ხმაურით გაიღო და მაღალი,  
გამხდარი ბიჭი გამოჩნდა. ვინ ვის ეხვეოდა და  
კოცნიდა, ვინ ვის ულოცავდა, რა ხდებოდა...ა.  
...ა...ა?! სოფიო ბებო სიხარულით ფეხზე ვერ

იდგა და წამდაუნუმ გაიძახოდა „სასწაულიო“. გულაჩუყებულ თემუკას კი სინანულისა და სიხარულის ცრემლი ერთად სდიოდა.


ეკლესიაში მოძღვარმა გულში ჩაიკრა ბიჭი. მერე კი მრევლს მიმართა; ქრისტეც ტუსალი იყო და იოანე ნათლისმცემელიც; გახსოვდეთ, პატიმართა მიხედვა საუფლო მადლიაო!

უანგაროდ, სიკეთით,  
თუ მიხედავ პატიმარს,  
აგაცილებთ უფალი  
საჩივლელს და სატირალს!





## უჭირისუფლე მიცვალებულს!



აფიქრებულხართ, ბავშვებო, ადამიანის აქაურ სამყოფელს რატომ ჰქვია წუთი-სოფელი? – სიცოცხლე ძალიან მოკლეა და მარადისობის კანონით, მართლაც რომ ერთი წუთია. ჰოდა, სიცოცხლის ეს ერთი წუთი ჭეშმარიტმა ადამიანმა სიკეთის თესვასა და მოყვასის სიყვარულში უნდა გალიოს. მინდა გაგენდოთ, რომ მხოლოდ სიყვარულით ნათდება ცხოვრების გზა და უფალთან მიახლოვებაც მხოლოდ სიყვარულით შეიძლება...

ცხელ თბილისურ ზაფხულში თემუკამ და სოფიო ბებომ ანანო და მახარე სვანეთში, მშობლიურ კერაზე დაპატიუეს. მშობლებმაც აღარ დაუშალეს და პაპანაქება ზაფხულიდან უშგულის კამკამა და უძირო ცის ქვეშ ამოჰყვეს თავი. უშგულელები ზედ გადაჰყვნენ, ყველა მათი ბებო და პაპა, დეიდა და ბიძა, მეგობარი და მოკეთე იყო.

ზვიადი ლაილაპი, ქათქათა თეთნულდი და დიდებული, თუმცა პირქუში და უკარება უშბა, მთათა ტყიანი კალთები და შმაგი, დაუდეგარი ენგური პატარების გულებში მათსავით ამაყ-სა და შეუპოვარ ბუნებას აღვიძებდა. დილიდან გვიან ლამემდე ხან ულამაზეს სანახებში დარბო-დნენ და ხან სვანურ კოშკში, ცეცხლთან მიმსხ-დრები, მახვშის მოყოლილ უძველეს ლეგენდებ-სა და თქმულებებს ისმენდნენ.

ერთ დღეს მთელი სოფელი გარეთ გამო-ვიდა. უშბის დასალაშქრად მიმავალ მთამსვლე-ლებს აცილებდნენ პურ-მარილითა და ლოცვით. ორი წლის წინათ უშბაზე ასვლის დროს უცხო-ელი მთამსვლელი დალუპულიყო. სადღაც ნაპ-რალში იყო ჩარჩენილი მისი ცხედარი. მარადი-ულ ყინულებში ჩაკირულს ვერა და ვერ მიაგნეს მთამსვლელებმა. ჭირისუფალმაც ხელი აიღო მის მოძებნაზე. უცხოეთიდან ხმაცა და კავშირიც კარგა ხანი იყო, რაც შეწყდა, მაგრამ ქართველი მთამსვლელები არ ისვენებდნენ. თავი გვეჭრე-ბა, კაცი დასამარხი გვრჩებაო – სწუხდნენ.

— ის ხომ უკვე მკვდარია და ესენი რა თავს იკლავენო? — უკვირდათ მახარესა და ანანოს.

ხუთი გრძელი დღე გავიდა და სოფელი მოლოდინში გაირინდა. არა და არ ჩანდნენ მთამსვლელები. კაცები ერთურთში მოგუდული ხმით ბაასობდნენ. ქალები კი მუხლებში ხელს იცემდნენ და სანთელს ანთებდნენ, ღმერთს ავედრებდნენ უშპაზე წასულებს.

მერე ცნობა მოვიდა: ბიჭები უცხოელს მასვენებენ და სოფელი გაემზადოსო.

ქალებმა შავები ჩაიცვეს, კაცებმა თადარიგი დაიჭირეს. დიდებული სვანური ზარით შეზანზარდა უშგულის ბებერი კოშკები. ფერდაკარგულმა, დაღლილმა, მაგრამ ვალმოხდილობის ღიმილით სახეგანათებულმა მთამსვლელებმა უცხოელის ცხედარი სოფლის შუაგულში შეასვენეს. ბეწვზე გადარჩენილი, ნაპრალში ჩავარდნილი მეგობარი კი ხელიხელ შეიყვანეს კოშკი.

ზღვა ცრემლი დაედინა უცხოელს. ცა და მინა შეძრა დედების მოთქმამ. კაცებიც ჩუმად იწმენდნენ თვალზე მომდგარ ცრემლს.

იქვე, სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს უცხოელი. სულის მოსახსენიებელი სუფრაც გაიშალა. მახარე შეზარხოშებულ მახვშს მიუჩინდა და და ჰეთხა: კი მაგრამ, ის ძია არც აღარავის ახსოვდა და ვეღარც ვერაფერს უშველიდით, გავიგე, რომ ამ ორ წელიწადში მთამსვლელები რამდენიმეჯერ წასულან მის ჩამოსასვენებლად. მკვდარი უცხოელის გამო რომ ვინმე დაღუპულიყო, განა გამართლება ექნებოდა ამასო?

მახვშმა გამჭოლი მზერით შეათვალიერა ბავშვი და დინჯად თქვა: შვილო, ჯერ ბალლი ხარ, მაგრამ კაცი უნდა გახდე, ნამდვილი კაცი! გახსოვდეს ყველანი უფლის ქვეშ ვდგავართ, მიცვალებულის დამარხვა კი ადამიანური ვალი და საუფლო მადლიაო.

ღამით კოშკთან ჩამომსხდარი ბავშვები ვეება მთვარეს გაჰყურებდნენ და თვალზე ცრემლმომდგარები უცხოელის დაკრძალვას იხსენებდნენ. მთვარე კი სხივებით ელამუნებოდა ნაბადში გახვეულსა და აღტაცებით მოტიტინე პატარებს.

და უცებ... მოეჩვენათ, თუ რა იყო? სვა-  
ნურ ღამეში უცხოელის მადლიერი სახე ულიმ-  
ოდათ მთვარიდან...

ეს რა გაიგეს ბავშვებმა?

ცრემლი თრთვილივით აყრიათ,

მიცვალებულის დამარხვა


თურმე საუფლო მადლია!



შვიდი საკვირველი ამბავი ხომ გი-  
ამბეთ? ახლა უნდა დაგემშვიდობოთ...  
თუ მოგენატრეთ, მახსენეთ და უმალ  
გავჩნდები. კეთილი მოხუცი კი სალამს  
გითვლით და ახალ-ახალ ამბებს გპირ-  
დებათ.

მაშ ასე, მომავალ შეხვედრამდე!  
მუდამ თქვენი მეგობარი და  
სულ მუდამ ბავშვი  
ლია ბედოშვილი





K30-868  
Կ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

